საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-696

23/07/2019

ქ. თბილისი

გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ სააკაძის მიმდებარე ტერიტორიაზე, სასარგებლო წიაღისეულის (565 000 მ³ კონგლომერატი) ღია კარიერული წესით მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ სააკაძის მიმდებარე ტერიტორიაზე, სასარგებლო წიაღისეულის (565 000 მ³ კონგლომერატი) ღია კარიერული წესით მოპოვების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით და შესაბამისი GPS კოორდინატებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორია მდებარეობს გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. მარტყოფის სათემო ერთეულში შემავალ სოფელ სააკაძის მიმდებარედ. საპროექტო ტერიტორიიდან დაშორება უახლოეს დასახლებამდე შეადგენს 1 კმ-ს.

მადნიანი სხეულის ძირითადი პარამეტრებია: ფართობი - 113 000 მ²; მადნიანი სხეულის სიმძლავრე - 5 მ. სალიცენზიო ობიექტის პროგნოზული კატეგორიის მარაგი: 113 000 x 5 = 565 000 მ³.

სალიცენზიო ობიექტი წარმოდგენილია პლიოცენური ასაკის ტერიგენული ნალექებით. პროდუქტიული წყება აგებულია სუსტად შეცემენტებული (თიხიანი ცემენტი) კონგლომერატებით და გადაფარულია ნიადაგის საფარით.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I კატეგორიას.

სკრინინგის განცხადების თანახმად, წიაღითსარგებლობის ობიექტის დამუშავების მეთოდი იქნება ღია (კარიერული) წესით.

ობიექტის კონტური მოიცავს სამხრეთ-დასავლური ექსპოზიციის 10-15°-იან დახრილ ფერდობს, რომელიც დაფარულია ნიადაგის ფენით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანები უნდა დასაწყობდეს ექსპლუატაციის შემდგომ ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით.

პროექტის განხორციელება დაკავშირებულია საკმაოდ დიდ მასშტაბზე (11.3 ჰა) ახალი ტერიტორიის ათვისებასთან, რაც თავის მხრივ გამოიწვევს მნიშვნელოვან ზემოქმედებას გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე.

სალიცენზიო ობიექტზე მოპოვებითი სამუშაოების წარმოების დროს მოსალოდნელია მნიშვნელოვანი ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე. ადგილი ექნება ახალი მიწის ნაკვეთის ათვისებას, რაც მნიშვნელოვან ზემოქმედებას იქონიებს არსებული ნიადაგის საფარზე. ნიადაგის და გრუნტის ხარისხის გაუარესება შეიძლება გამოიწვიოს ნარჩენების არასწორმა მართვამ, გაუმართავი სამშენებელო ტექნიკის და სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციამ.

წარმოდგენილი GPS კოორდინატების მიხედვით იდენტიფიცირებული საპროექტო ტერიტორიის აღმოსავლეთით დაახლოებით 115 მეტრში ფიქსირდება შპს „მინერალის“ ტერიტორია, სადაც მიმდინარეობას ანალოგიური ტიპის მოპოვებითი სამუშაოები (კონგლომერატის მოპოვება). საპროექტო ობიექტსა და შპს „მინერალის“ ტერიტორიას შორის მანძილის, აგრეთვე ანალოგიური ტიპის საქმიანობის გათვალისწინებით სალიცენზიო ობიექტზე შესაბამისი სამუშაოების წარმოების დროს მოსალოდნელია მნიშვნელოვანი კუმულაციური ზემოქმედება. კონგლომერატის მოპოვება დაკავშირებული იქნება არსებული აკუსტიკური ფონის შეცვლასთან.

საპროექტო ტერიტორიაზე კონგლომერატის დამუშავების მეთოდის გათვალისწინებით (ღია კარიერული წესით) მოსალოდნელია მნიშვნელოვანი ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების კუთხით. ამასთან საპროექტო არეალში გრუნტიან გზებზე დიდი რაოდენობით სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება და პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ტექნიკის მუშაობა მნიშვნელოვნად გაზრდის, როგორც ამტვერების ისე მომუშავე და იქ მოძრავი ტრანსპორტით გამოწვეული გამონაბოლქვის რაოდენობას.

ობიექტის დამუშავების დროს წარმოქმნილი ფუჭი ქანების დიდი რაოდენობიდან გამომდინარე საჭირო იქნება ფუჭი ქანების სანაყაროებისთვის შესაბამისი პროექტის შემუშავება. ამასთან დიდი რაოდენობით მოსახსნელი ნიადაგის საფარის და ფუჭი ქანების დასაწყობება/რეკულტივაცია მოითხოვს რეკულტივაციის დეტალური პროექტის შემუშავებას 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილების შესაბამისად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის, აგრეთვე პროექტის მასშტაბის და კონგლომერატის მოპოვების მეთოდის (ღია კარიერული წესით) გათვალისწინებით დგინდება, რომ საქმიანობით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედება იქნება მნიშვნელოვანი.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის მე-II დანართის მე-2 პუნქტის 2.1 ქვეპუნქტის საფუძველზე</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ საკაძის მიმდებარე ტერიტორიაზე, სასარგებლო წიაღისეულის (565 000 მ³ კონგლომერატი) ღია კარიერული წესით მოპოვება **დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-8 მუხლით დადგენილი სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს;

4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გარდაბნის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოების საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი